ერი

ხუთშაბათი თებერვლის 17 1921 წ.

ფასი 30 მან.

№ 1 საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო. № 1

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4 გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ე რ ი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

წ. ლიწალი პირველი
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია და ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი: ქუთაისი, თბილისის ქუ[illegible] რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდის. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპონდენციებისათვის! ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32

წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

1921 წ. თებერვლის 17-დან ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

= ე რ ი =

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე სილოვანის ძე ბოლქვაძე, შვილი შალიკო, მშობლები კოსტა და ირინე, ძმა გალაქტიონი, და ეფროსინე—ჰეი შვილები, მამამთილი სილოვან, დედამთილი თეკლე ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავათმყობის შემდეგ თებერვლის 15-ს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ზინაიდა (ზინა) ბოლქვაძისა

რომლის დასაფლავება მოხდება საფირჩხიის სასაფლაოზე 17 თებერვალს დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე (ახალი დრო) პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (ახ. დ.) გოსპიტლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

19 თებერვალს 1921 წელს

ეოფილ საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის მუშათა პროფესიონალურ კავშირების და სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ გაიმართება დ დი საღ მო

„ბალ-მასკარადი“

პ რ ი ზ ე ბ ი თ

სხვადასხვა გასართობებით და ვახშმით.

დიასახლისები:
მ. ლორთქიფანიძისა.
ს. ქავთარაძისა
ლ. მელმარიაშვილი-გეგეჭკორისა.
ელ. ბახტაძის ას.

3—1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 24 თებერვალს დანიშნულია შეჯიბრება ქუთაისის გარნიზონისათვის ორასი (200) სპეცნი ხაძლერიანი ზომის შაშის დადგმაზე. 3—1

ექიმი

ი. ბ. მეგურიშვილი

ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება სადამ. 5—8 საათამდი.

ჰავჰავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს

თვ.

მომენტისათვის.

არასოციალისტური პარტიები—ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი უკვე გაერთიანდენ და ამიერიდან საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელით მოქმედებენ: დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული ფრაქციები ერთად გამოდიან, დამფუძნებელ კრების გარეშე კი მათი გარშემო გროვდება და ორგანიზაციულად ეწყობა მთელი არასოციალისტური საქართველო. არასოციალისტურ, დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებას ცხადია დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ეხლა, დღეანდელ პოლიტიკურ პირობებში, როდესაც ჩვენს სამშობლოს შიგნიდან და გარედანაც აწვებიან წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამრღვევი და დამშლელი ძალები.

გარედან დღეს საქართველოს ემუქრებიან რუსეთის რღვევაში „გაწითლებული“ ბალშევიკები თავისი კავკასიაში მოხეტიალე აგენტებით.

შიგნით კი საქართველოში თანდათანობით ირყევა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა: მენშევიკური [illegible] სოციალ დემოკრატიის პოლიტიკურ გაბატონობამ დაშალა წესიერი და პროგრესიული ზრდა ცხოვრებისა, მოსპო, გაანიავა ჩვენი ერის დოვლათი. უთავბოლოდ და უწესრიგო ხარჯებით. მენშევიკურ სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც დაადგა გაჩინოვნიკების გზას, ჩამოშორდა მთელი ჯგუფი, რომელმაც უნდა აწარმოოს დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პოლიტიკა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში იწყება რღვევის და დაშლის პროცესი იმ დროს, როდესაც ნაციონალურ პარტიებში მტკიცდება გაერთიანების სურვილი და ძალა.

ჩვენი გაზეთი „ერი“ ამ გაერთიანების იდეით არის აღფრთოვანებული.

კ. კაპანელი.

სოც.-დემოკრატია და საქართველოს დამოუკიდებლობა.*)

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ეს სიტყვები კარგათ უნდა შეეგნოგაზ. „სოციალ-დემოკრატის“ თანამშრომლებს და როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურდა, ისე უნდა მისცემოდენ მხიარულებას, რომ არ ეხსენებიათ არც თავის პროგრამა და არც სხვისი, არ უნდა დაეძრათ კრინტი არც თავის ღირსებაზე არც სხვისი ნაკლულევანებაზე; არ უნდა შეხებოდენ თავის წარსულს. ასე რომ მოქცეულიყვენ, დარწმუნებული იყავი მკითხველო ეროვნულ-დემოკრატიული პრესა მათ არ ეტყოდა იმას, რასაც დღეს ეტყვის და თუ არ დაცხრენ მომავალშიდაც გაიგონებენ.

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო. რედ.

გაზეთ „სოციალ-დემ.“ № 4, რიხით გაიძახიან დამოუკიდებლობის აღიარება და დადასტურება ჩვენი პროგრამისა და მოღვაწეობის გამარჯვებაა.

ასეთი მკვეხარობა სასაცინოა, სამწუხარო რომ არ იყოს. ორში ერთი უნდა ვიფიქროთ ან ეს „პუბლიცისტები“ მცირეწლოვანი ბრძანდებიან და თავის წარსულის გადახელვა ვერ მოუსწრიათ და ან განგებ უნდათ მკითხველს თვალი აუხვიონ და ყველაფერი რაც გაკეთდება თავის თავს მიაწერონ და რაც წახდება სხვას დააბრალონ.

პირველ შემთხვევაში მათ ევალებათ კარგათ ჩაუკვირდენ თავის პროგრამას და შეისწავლონ წარსული თუ ისტორიული საბუთები არა, ის პროკლამაციები მაინც, რომლითაც ქვეყანა აამსეს და ნახავენ რას გაიძახოდენ და რა მიიღეს. მეორე შემთხვევაში ფრთხილათ იყვნენ და სხვისას ნუ დაიჩემებენ თორემ იდეის და პროგრამის ჩამორთმევა ისე ადვილი არ არის როგორც წისქვილებისა და აბანოების—არ დაივიწყონ, რომ ჭკუა გონების და სწავლა მეცნიერების სფეროში „რეკვიზიცია“ და მით უმეტეს მითვისება არ იმუშავებს. მართალია ამ ჩემ უკანასკნელ სიტყვებს ისინი ეხლა არ დამიჯერებენ, მაგრამ მომავალში ამის სინამდვილეშიდაც ისე დარწმუნდებიან, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში დარწმუნდენ, რასაც 1917 წელში არა თუ არ გვიჯეროდენ—წარმოთქმასაც კი გვიშლიდენ... მოთმინება იქონიონ. პარტიული ჟინი შეანელონ და ახლო მომავალში ბევრ რამეში დარწმუნდებიან და რასაც სხვას უწუნებენ, იმას თვითონ დაიკავებენ და შეიძლება ისე მითვისონ კიდეც, როგორც დამოუკიდებლობის იდეა, გამოცხადება და დადასტურება მითვისეს. სიმართლის აღსადგენათ მინდა გავახსენო მათ წარსული და სარკეში ჩავახედო. თორემ მათი მოქმედება მე სრულიადაც არა მწყენს, იმიტომ რომ თუ კი საქმე გაკეთდება, თუ კი ჭეშმარიტება გაიმარჯვებს განა სულ ერთი არ არის ვისი ბანაკიდანაც გაკეთდება? საქართველოს ბიან წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამრღვევი და დამშლელი ძალები.

გარედან დღეს საქართველოს ემუქრებიან რუსეთის რღვევაში „გაწითლებული“ ბალშევიკები თავისი კავკასიაში მოხეტიალე აგენტებით.

შიგნით კი საქართველოში თანდათანობით ირყევა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა: მენშევიკური [illegible] სოციალ დემოკრატიის პოლიტიკურ გაბატონობამ დაშალა წესიერი და პროგრესიული ზრდა ცხოვრებისა, მოსპო, გაანიავა ჩვენი ერის დოვლათი. უთავბოლოდ და უწესრიგო ხარჯებით. მენშევიკურ სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც დაადგა გაჩინოვნიკების გზას, ჩამოშორდა მთელი ჯგუფი, რომელმაც უნდა აწარმოოს დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პოლიტიკა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში იწყება რღვევის და დაშლის პროცესი იმ დროს, როდესაც ნაციონალურ პარტიებში მტკიცდება გაერთიანების სურვილი და ძალა.

ჩვენი გაზეთი „ერი“ ამ გაერთიანების იდეით არის აღფრთოვანებული.

კ. კაპანელი.

სოც.-დემოკრატია და საქართველოს დამოუკიდებლობა.*)

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ეს სიტყვები კარგათ უნდა შეეგნოგაზ. „სოციალ-დემოკრატის“ თანამშრომლებს და როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურდა, ისე უნდა მისცემოდენ მხიარულებას, რომ არ ეხსენებიათ არც თავის პროგრამა და არც სხვისი, არ უნდა დაეძრათ კრინტი არც თავის ღირსებაზე არც სხვისი ნაკლულევანებაზე; არ უნდა შეხებოდენ თავის წარსულს. ასე რომ მოქცეულიყვენ, დარწმუნებული იყავი მკითხველო ეროვნულ-დემოკრატიული პრესა მათ არ ეტყოდა იმას, რასაც დღეს ეტყვის და თუ არ დაცხრენ მომავალშიდაც გაიგონებენ.

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო. რედ.

ერი

№ 1

№ 1

1921 წ. 17 თებერვალი

ერი

ერი

**ერ

კანონმა პარტიის პროგრამაც და დისციპლინაც ტაქტიკის თან მიყოლით გააქარწყლა და სოციალ დემოკრატიულ მთავრობას თავისივე პირით განაცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა, მიუხედავათ იმისა მათ პროკრამაში ეწერა თუ არა, დაუკითხავათ იმისა, რუსეთის მუშათა პარტიას ეს მოუხდება თუ აწყენსო. მოხდა ის რაც უნდა მომხთარიყო, მოხდა ის, რასაც მათ ურჩევდა ეროვნულ დემოკრატები და მათი პრესა. გადაიკითხეთ 1917-18 წლების ეროვნული გაზეთები და დარწმუნდებით. ამ საბუთებს ვერავინ ვერ მოსპობს და ვერც შესცვლის.

გაიმარჯვა ეროვნულ დემოკრატების აზრმა და პროგრამამ; გამოცხადებით კი სოციალ-დემოკრატებმა განუცხადეს, რადგან მთავრობაში ისინი იყვნენ.

მოხდა ის, რაც მათთვის მეტათ საგულისხმოა. უმეტესობამ აღიარა უმცირესობის აზრი. მართალი თუ გნებავსთ ასე იყო და ახლა მისი ძახილი მეც ეს შინდოდა, მეც ამას ვფიქრობდი და მეც ესა მწამდაო მოგვაგონებს ანდაზას: „კაცი ცხენმა გადმოაგდო და გადახტომა მინდოდაო“.

არა ბ-ნო სოციალ დემოკრატებო! თქვენი მიზანი იყო რუსეთის მონარქიის ნანგრევებზე დემოკრატიული რესპუბლიკა დაგვარსებიათ, მოსკოვის პარლამენტში დაბძანებულიყოთ და პროლეტარიატის დიკტატურის წყალობით სოციალიზმი გაგეხორციელებიათ. ეს გინდოდათ თქვენ და აი აქეთ იყო მიმართული თქვენი პროგრამაც და პროპაგანდაც და საქართველოს დამოუკიდებლობა სიზმარშიც არ გინახავსთ.

საქართველ დამოუკიდებლობის იდეა ასულდგულებდა ჩვენ საუკეთესო მწერლებს მეცხრამეტე საუკუნეში: ნ. ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, განსაკუთრებით ვახტანგ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და ალ. ყაზბეგს. ამ მწერლების შემოქმედებაში ეს იდეა ნათლათ არის განსახიერებული, ეს იდეა სწამდა ჩვენ ძვირფას მოღვაწე-მამულიშვილებს, ამ რწმენით ჩავიდენ ისინი საფლავში და ჩვენს ახალ თაობას ამისი განხორციელება ანდერძათ დაუტოვეს. აი ამ ანდერძის აღმასრულებელი გახლდით ჩვენ ეროვნულ დემოკრატები, როცა რევოლუციას ალლო ავართვით და ვსთქვით: ახლა უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და აღვადგინოთ საქართველოთქო, თქვენც გირჩევდით აქეთ მოგემართათ ყოველი ძალ-ღონე, მაგრამ თქვენ პირველათ არ ინებეთ და შემდეგ როცა გარემოებამ დაგარწმუნათ აუცილებლობაში კიდეც მოინდომეთ და კიდეც ეცადეთ, ამისათვის თქვენ—ქება დიდებაც და მადლობაც, მაგრამ არც სხვა უნდა დავივიწყოთ. თეატრში რომ მსახიობმა აკაკის ლექსი კარგათ წაიკითხოს, თქვენ მოგეწონოსთ და მას ქება უძღვნათ, ავტორი არ უნდა დაივიწყოთ და მისი ღირსება წამკითხველს არ უნდა მიაწეროთ. მესხიშვილი ამლეტის როლში დიდებული იყო, მაგრამ შექსპირი არ გვავიწყდებოდა.

პარტიული ქინით გატაცებულებს რევოლუციის დასაწყისში დაგავიწყდათ ჩვენი სამშობლო ლიტერატურის გამაცოცხლებელი ცვარი და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდის“ ძახილში ველარ მოიგონეთ: „ბაზალეთის ტბა“, „იმედი“, „დატყვევებული ნეტან დარეჯანი“ და „ამირანი მიჯაჭვული“, მაგრამ ჩვენ არ მოგეშვით და ბოლოს მოხდა ის, რაც დიდებულათ არის აწერილი საგულისხმო მოთხრობაში: იავნანამ რა ქნა?“

„იავნანამ“ ის ქნა, რომ აგინთოთ გულში სამშობლოს სიყვარული და ამან კი ფრონტიც შეგაცვლევიათ და ტაქტიც. ესეთი შეცვლა მოსალოციცია და თქვენი ღირსებაც, მაგრამ თუ ჩვენ მადლობა არ მოგთხოვოთ—საყვედურებს მაინც ნუ გვეუბნებით, თუ მასწავლებლათ არ მიგაჩნიეართ, „ჭინჭრაქებს“ მაინც ნუ გვეძახით, თორემ გაფრთხილებთ, რომ მაგ სიტყვებს შეგანანიებთ და როცა ცხოვრების სინამდვილე ჩვენს პროგრამაში აღნიშნული ჭეშმარიტების წინაშე დაგაჩოქებსთ—თვითონ გაწითლდებით. თქვენი გაზეთის ფურცლები 1917—18 წლებში დაბეჭდილი დღეს თქვენ არ გამართლებსთ და მერწმუნეთ ორი წლის შემდეგ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ №4-იც არ გიამებათ, რადგან თქვენი შეცდომის საბუთი იქნება.

აჩქარებულო პუბლიცისტებო! „რეაქციონერებს“ გვეძახით და გინდათ ჩვენი თავი ხალხს შეაძაგოთ, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ იმ გზაზე გაივლით, რომელსაც ჩვენი პროგრამა სახავს. დღეს არ გინდათ გაიაროთ, მაგრამ გარემოება გაგაროვნიებსთ ისე, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგაცხადებიათ. თქვენ გგონიათ სოციალიზმს უახლოვდებითო, მაგრამ რაც უფრო მაგრათ ჩადგებით პოზიციაში და ხარბათ მოუპერთ ხელს მთავრობის სავარძელებს, მით უფრო დაშორდებით სოციალიზმს და აი ჩვენც ეს გვინდა, რადგან სამშობლოს ეს ურჩენია და ქვეყნისთვის ესა სჯობია. სიტყვით თქვენი პროგრამა აქეთ და ავრცელეთ, მაგრამ საქმით კი ჩვენი უნდა ასრულოთ, რადგან მეტი გამოსაყალი არა გაქვსთ. ეს კარგათ იცის იმ ევროპამაც, რომელმაც დამოუკიდებლობა დაგვიდასტურა.

საქართველოსთვის არც ცენტრალიზაცია გამოდგა არც ფედერაცია, ორივეს აჯობა დამოუკიდებლობამ. დაიცავით ეს და თქვენი პოზიცია მაგარი იქნება. მომავალი გექნესთ სწორი და საიმედო და წარსულს არ გაგახსენებთ, თუ თქვენ თვითონ თავს შეიკავებთ.

რაც გითხარით, გითხარით იძულებით და თქვენი მიზეზით. დღეს თქვენ კარგათ იცავთ დამოუკიდებლობას და ამაში ყველა გეხმარებათ გარდა თქვენი განაყოფი ძმები ბოლშევიკებისა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ ისინიც დარწმუნდებიან თავის შეცდომაში და მომავალში გვერდში მოგვიდგებიან რომ თავისი სამშობლო ქვეყანა შეინახონ თორემ ჰაერში ჩამოკიდებული დარჩებიან, სხვაგან ვერაფერს იშოვიან და ცარიელი ჰროგრამა ხელში შერჩებათ.

იმედი გვაქვს ისტორია იმათაც მოაქრისტიანებს.

დემოკრატი.

თავდასხმა.

უკანასკნელი ცნობა.

ტფილისი 12—11 გენერალურ შტაბის ცნობები. ღამით თებერვლის **11—12** სომხეთის მხრივ **რეგულიარული ჯარის** ნაწილები მოულოდნელად თავს დაესხენ ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს ბეზობდალით ბორჩალოს მაზრის სადგურ შაგალთან და სოფელ შინიხთან,

ამასთანავე ბორჩალოს მაზრის მოსაზღვრე რუსი და სომეხი მოსახლეობა აჯანყდა და თავდამსხმელთ შეუერიდა.

მცხოვრებთა მეორე ნაწილი ჩვენი ერთგული დარჩა და მან თავის დროზე შეგვატყობინა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

ბეზობ-ბდალის გზით მომავალნი გავფანტეთ.

ვორონცოვკის რაიონში აჯანყება ჩაქრობილია, შაგალისა, უზულნიარისა და შინიხის რაიონებში ბრძოლაა.

სომხეთის ბოლშევიკი ჯარისკაცები იძახიან: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

რედაქციის შენიშვნა.

1) გენერალური შტაბის ცნობით, ბორჩალოს მაზრაში ჩვენს ჯარს თავს შემოერტყა. როგორც გუმბრის მიმართულებით; (სადგ. ბორჩალო წარმოადგენს რკინის გზაზე უკანასკნელ საზღვარს ბა-ბორჩალოს მაზრაში) ისე ყაზახის მაზრიდან (სოფ. შინხი. მდებარეობს სად. ახტალის და სანაინის შორის რკინის გზის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით) აზერბეიჯანიდან 9 ვერსტის მანძილზე. სოფ. ვოთორნცოვკა მდებარეობს 27 ვერსტის მანძილზე დასავლეთით სად. სანაინიდან.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

უცხოეთი.

ლიონი 14 თებერვალი. საბერძნეთის მთავრობის დელეგაცია ჩავიდა ლონდონში მოკავშირეთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. კონფერენცია გაიხსნება 21 თებერვალს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანგორის მისიამ ვერ მოასწრო ჩამოსვლა ლონდონში.

მოსკოვი 14 თებერვალი. გარდაიცვალა ცნობილი ანარქისტი პეტრე კროპოტკინი. დაასაფლავეს 13 თებერვალს.

ვარშავა. ბოლონელი ტყვეები რუსეთის კონცენტრიულ ბანაკებში საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან. არა აქვთ ტანისამოსი, საცვლები, ფეხსაცმელი. ხშირია მათი დახვრეტაც.

კონსტანტინოპოლი. კრიმში სათბობი მასალის უქონლობის გამო გაჩერებულია სანიტარული მატარებლები ავათმყოფებით. შეჩერებულია რკინის გზით მიმოსვლა.

„გავასის“ საგენტოს ცნობით ანგორის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიმართა ჩიჩერინს წერილით რომლითაც ბრალს დებს საბჭოთა მთავრობას ფარისევლობასა და პირმოთნეობაში.

ლონდონი თეირანიდან მოსული ცნობით ინგლისის რაზმსა და 144 ბოლშევიკთა პოლკის შორის მოხდა ცხარე შეტაკება. წითელ არმიელთა შორის არის 27 ტყვე, 12 მოკლული. ინგლისელებს არ მოსვლიათ მსხვერპლი.

საქართველო.

მონასტრის გაძარცვა. თბილისში დაბრუნებული ადმინისტრაციის ინსპექტორი აცხობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგს: წალენჯიხის მონასტრიდან გატაცებულია ყოველივე, რაც კი იყო იქ ძვირფასი. ხატიდან, რომელიც ითვლებოდა სასწაულთმომქმედათ. ამოღებულია ძვირფასი ქვები, სამოსელი, და სხვა. ზარალი რამოდენიმე მილიარდს უდრის. ამ საქმეზე დატუსაღებულია 10 კაცი, მათ შორის 5 მღვდელი.

ოზი.

თბილისი რკინის გზელთა მთავარ გამგეობის ორგანიზაციებისა და კავშირის შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება მთავრცბას რესპუბლიკის დაცვაში, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა რკინის გზის მიმოსვლა წესიერათ წარმოებდეს. გზის ქონების. ხიდთა და რკინის გზის შენობების დასაცავათ გადაწყდა რკინის გზის მთავარ რაიონებში დაარსდეს თავდაცვის კომისიები. მთავარი კომიტეტი თავდაცვისა იქნება თბილისში.

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულმა დეპეშით მიმართა ტყიბულსა და ქუთაისის რკინის გზის ნაწილების ყველა უფროსებს თვალყური ადევნონ მოსამსახურეებს და მეზშებს რათა მათ წესიერათ აწარმოონ თვისი მოვალეობა.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოდის მრავალი დეპეშები, რომლებიც გამოთქვამენ აღშფოთებას სომხეთიდან საქართველოზე გამცემლური თავდასხმის გამო.

თბილისი (რადიო) ყველას სახეგმწიფოებს ეცნობა შემდეგი. რადიოტელეგრამებს, რომელსაც ხელს აწერს ოსიპიანცი და ლორის აჯანყებულთა რევკომი, მიზნათ აქვთ სისხლის ღვრის შემთხვევას სომეხთ-საქართველოს საზღვრებზე მისცენ სამოქალაქო ომის ხასიათი. ლორის მცხოვრებთა აჯანყებანი არის ტრუ პროვოკაციელ ... ლიც აამიერ კავკასიის ხალხს უწყობს ახალ სისხლის ... ნამდვილათ კი აქ აქვს ადგილი სომხელიდან საქართველოს წინააღმდეგ ვერაგულ სამხედრო მოქმედებიე დაწყებას. აჯანყება ნაძალადევათ შექმნილია ბორჩალოს მაზრის ხოგ სოფლებში იქ ფარულად ჩასულ სომხეთ-რუსეთის საბჭოთა რბზშების მიერ.

თბილისი 15 თებერვალი. ბრძოლაში დატყვევებული ჯარის კაცები და აფიცრები ამბობენ, რომ წითელი ჯარის რეგულიარულ სამხედრო ნაწილებს ხელმძღვანელობენ რუსი აფიცრები, რაც იმას მოწმობს, რომ საქმე გვაქვს არა ლორის გლეხთა აჯანყებასან; მაშინ, როცა საქართველომ მიმართა სომხეთს სადაო კითგვების მშვიდობიანად შეთანხმების სახით გადაწყვეტაზე, სომხეთმა ამაზე უპასუხა საქართველოს იარაღით.

თბილისი 15 თებერვალი. გენერალური შტაბის ცნობა 14 თებერვალისა. სადახლოს რაიონში სწარმოებს სროლა. მზვერავები მოქმედებენ. მოწინააღმდეგეი ამ რაიონში აქტიური მოქმედება არ გამოუჩენიათ. ლორის მინდვრებში მოწინააღმდეგემ სცადა შეტევაზე გადმოსვლა, მაგრამ ჩვენი ჯარისაგან მიცემული ცეცხლით მათმა ცდამუნაყოფოთ ჩაიარა. ჩვენმა ჯარებმა ამ რაიონში დაიკავეს შესაფერი მდგომარეობა მაღლობებზე ვარანცოვკის ჩრდილოეთით.

საარტილერიო გუნდმა, რომლის შესახებ 12 თებერვალს არაფერი ცნობა იყო, და რომელიც დაღუპულათ ითვლებოდა, შინიხის რაიონში გაარღვია შემორტყმული მტრის რკალი, მთების ბილიკებით გამოვიდა და შეუერთდა თავისიანებს.

პირდაპირი მავთულით. გუშინ დილით და საღამოთი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ელაპარაკა პირდაპირი მავთულით ომის შესახებ თბილისის დამფუძნებელი კრების წევრს იოსებ მაჭავარიანს. მიღებული ცნობები სხვა და სხვა მიზეზების გამო არ ცხადდება დღევანდელ ნომერში. გამოვაქვეყნებთ ხვალ.

ახალი ამბები.

სამსახურიდან დათხოვნა ქუთაისის მილიციის უფროსის ბრძანებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან უფროსი მილიციონერი პირველი ულბნისა სევერიანე კილაძე, როგორც სამსახურისათვის მავნე პიროვნება

საჯარო ვაჭრობა მიმდინარე წლის თებერვლის 21-ს დღით ორშაბათს დილის 11 საათზე საპყრობილეთა ინსპექციის ბინაზე დანიშნულია ხელმეორედ საჯარო ვაჭრობა ქუთაისიის საპყრობილის ტუსაღთა გამოსაკვებ ხორცის მოწოდებაზე.

ქალაქის თეატრი კონცერტი ოთხშაბათს თებერვლის 16-ს ქუთაისის მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ კორნ. მაღრაძის ლოტბარობით გაიმართება კონცერტი.

საღამო. თებერვლის 19-ს სახალხო უნივერსიტეტის და მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს სასარგებლოთ, ყოფილ საზოგადო საკრებულოში გაიმართება გრანდიოზული საღამო ბალ-მასკარადი.

„სტუდენთთა დღის“ აღსანიშნავათ გაიმართება წარმოდგენები: ქალაქის თეატრში თებერვლის 18-ს

ძუძუმწოვარ ბავშის პოვნა. თებერვლის 12 მეხუთე კომისარიატის მილიციონერს ქუთაისის რკინის გზის სადგურის კიბესთან უპოვია ძუძუ მწოვარა ბავში, რომელიც დღემდი იმყოფება მეხუთე კომისარიატში.

საარჩევნო კომისია. ქალაქის მოურავის ამხანაგის ა. მეფისაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის მთავარი საარჩევნო კომისია, რომელშიც წევრებად მოწვეული არიან: ლ. ვ. ხმალაძე. ს. ლაჭყეპიანი და გ. ტუსკია.

ჯანმრთელობის დეპარტამენტიდან. ქალაქის გამგეობას მოუვიდა შემდეგი დეპეშა, რომ რეცეფთის ნომერზე 75 ანეთის დამატება გრძელდება 15 თებერვლის შემდეგაც,

უცაბედი მკვლელობა. სოფელ ცხრა წყაროში (შორაპნის მაზრა) მცხოვრები დავით ჩუბინიძე უცაბედათ მოკლა თავის შვილმა.

დაპატიმრება მილიციის უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსის განკარგულებით თებერვლის 12-ს დ. აპატიმრეს კოწია ბაქრაძე. შაქრო ბაქრაძე და კიკნაძე თითო თვით ადმინისტრატიული წესით, როგორც ხელის შემწყობნი ჯარის კაცების განთავისუფლებისა.

იოსებ პავლეს ძე გვეტაძემ შესწირა საეთნოგრაფიო მუზეუმს: 1) სპ ლენძის სურა-ძველებური ხელობისა; 2) მანდილოსნის გულზე სატარებელი ვერცხლის ძველებური ხელობის ჯვარი 5 ძვირფასი თვლით, 3) ერთი ბერძნული ვერცხლის ფულ, ოომელსაც ერთ გვერდზე ჯვარი ახატია და მეორეზე ორი ს ხე.

მატარებელთა მიმოსვლის მოწესრიგება. რკინის გზის მოძრავობის მოსაწესიგებლათ და ტყიბულის ქვანახშირის გაზიდვის გასაუმჯობესებლად თანახმად მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისა მოძრაობის თვალყურის ხადევნებლათ დანიშნულია მთავრობის საგანგებო რწმუნებულები: შურის რაიონში—დამფუძნებელი კრების წევრი ცინცაბაძე, ზესტაფონ შორაპნის რაიონში—ა. მარგველაშვილი და ქუთაის ტყიბულის რაიონში ნ. პიპინაძე. აღნიშნულ პირებს ევალებათ ადევნონ მკაცრი თვალყური არა მარტო მატარებელთა წესიერ მიმოსვლას, არამედ რკინის გზელთა შორის დისციპლინის დაცვას და მინდობილ საქმის მოწესრიგებას.

არჩევნების გადადება. რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობის გამო მთავრობის 12 ამა თებერვლის დადგენილებით შეჩერებულია რესპუბლიკაში, როგორც საქალაქო აგრეთვე საეფოო არჩევნები. არჩევნების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბლოკი დემოკრატიულ პარტიასთან. თბილისის ქალაქის არჩევნებისთვის სახლის მეპატრონეთა კავშირმა დემოკრატიულ პარტიასთან შეჰკრა ბლოკი. ბლოკი საარჩევნო სიას საერთოდ შეადგენს.

ბენია ჩხიკვიშვილი დანიშნულია თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის და ტყიბულის რაიონის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად.

ტყიბულის ქვა-ნახშირი. თანახმად იმ კომისიის ცნობისა, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის გადაზიდვას ადევნებს თვალყურს, ტყიბულიდან ყოველ დღიურად 70 ვაგონს ქვანახშირს აგზავნიან.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ბინა მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე ს. ფიჩხაძის სახლში. აქვეა პარტიულ ორგანოს გაზეთ „ერის“ რედაქციაც ბიურო ღიაა მუდმივ და მორიგეობს კომიტეტის წევრი.

კვირას თებერვლის 20-ს ნაშუადღევის 5 საათზე (ახალი სტილით) სამაზრო კომიტეტის ბიუროში მოხდება სამთო-უბნის ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

რედაქტორი. საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა პარტიულ ორგანოს „ერის“ რედაქტორათ აირჩია კ. კაპანელი.

პარტიის საარჩევნო ფონდი. გაიხსნა ჩვენი პარტიის ფონდი.

თეატრი. შაბათს, თებერვლის 19-ს გაიმართება დ. აბდუშელისა და შ. ჯაფარიძის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალო“.

მანუფაქტურა რკინისგზელთათვის. რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტმა ნაცვლად იმ ხე-ტყის მასალისა, რომელიც, ჩაბარა მან ესპანეთის ფირმებს, მიიღო ათი ვაგონი მანუფაქტურა და ათი ვაგონი ფეხსაცმელები.

არჩევნების გარშემო. ქალაქის მოურავის ამხანაგი ა. მეფისაშვილის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნების სახელმძღვანელოთ შესდგა მთავარი საარჩევნო კომისია. როგორც სრულ უფლებიანი წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან კომისიაში შედის გიორგი ტუსკია, საქართველოს დემოკრატიული პარტიიდან—ლაზარე ხმალაძე, და სოციალ-ფედერალისტებიდან ს. ლაჭყეპიანი. კომისიამ მდივნათ აირჩია ქალაქის საბჭოს მდივანი ილია ბახტაძე. ფაქტიურათ კომისია უკვე შეუდგა არჩევნების საქმეზედ.

პატარა ფელეტონი

(საამდროვო ზასუხი მახარობელს)

რაც რამ მაქვს, თან დამაქვს,
ეს არის და ეს!..
ხვალისას აღარ ვეძებ,
თუ რამ მექნა დღეს!..

—

„კონცესიებს ამბობენ“..
—უხაროდეთ შიმშონებს!
ქვეყანა ოქროთ იქცეს,
მე ვინ რას გამიგონებს?!.

—

„ათ მილიარდს კვლავ სპრიან“..
—ჩემთვის არ ემეტებათ,
ქვეყანაც რომ გადიქცეს
ამ ბონების სვეტებათ!..

—

„პარლამენტი გვექნება,
ვინ წაუვა კანონებს?“
—დეპუტატ-მინისტრობას
მივულოცავ სან-დონებს!..

—

„ამერიკა მოგვაწვდის
შაქარსაო და საკვებს“..,
– თუ ეს სიტყვა გამართლდა.
სად წაუვა ვირთაგვებს?!.

—

„ნარმა, ჩითი გვექნება“ ..
—კაი თქვენ დაგემართოს,
ბუზიაშვილის ვალი
ახლაც რომ არ მემართოს!..

—

„ნავთი მოდის, მაზუთი‘‘
—სად წაუვა კამისრებს,
თუ კი ბაქო პირნათლად
ვალს გადიხდის ნაკისრებს!

—

,,აგერ შრომის მაგიდა
გაგვიასებს ჯამაგირს“..
—ბაზარი რომ დამადგამს
ახალ კეხს და უნაგირს!..

—

,,არჩევნები იქნება‘‘..
—ვაი პირველ ნომერსა!..
მილიცია... ხელკეტი...
სად წაუხვალ რომელსა?.

—

,,აბა შიმშილ-სიტიტვლე“..
—აქ კი მე ვარ პირველი,
გადამდგარი მღვდელივით
უსასყიდლოთ მწირველი!

—

,,მაშ,.. ჭირი და ვაება‘‘..
– დამაყენე ჩემთვინა!
ამისთანა სიცოცხლე
ღმერთმა კი შეარცხვინა!..

კოლო.

თავდასხვა ამბავი

გენ.-გუბერნატორის განცხადება.

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით ა/წ. 12-თებერვლიდან ქალაქი თბილისის და ბორჩალოს მაზრები, რესპუბლიკის ყველა რკინის გზები და ტყიბულის მაღაროების რაიონი გამოცხადებულია სამხედრო წესებზე და გენერალ გუბერნატორად დანიშნული ვარ მე იმ უფლებათა შინიჭებით, რომელიც აღნუსხულია კანონთა კრებულის 23 მუხლის მე 9 დამატებაში და დამფუძნებელ კრების 1919 წ. 11 ნოემბრის დეკრეტში და დღეის რიცხვიდან დაკისრებული თანამდებობის აღსრულებას შეუდექით.

გენ. გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი

მ ო წ ო დ ე ბ ა.

(საქართველოს დემოკრატიის მტრები ერთხელ კიდევ ამხედრდენ ბორჩალოს მაზრაში. მუხანათურად, ქურდულად შემოგვესია სომხის საბჭოთა ჯარი. აგრეთვე ზოგიერთი სოფლების მცხოვრებთა ნაწილი აჯანყდა და მტრებს გვერდით ამოუდგა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გასანადგურებლათ.

მთავრობა მზათაა, როგორც ყოველთვის, მოღალატეებს, და მუხანათ მტრებს თავისი ადგილი უჩვენოს, თავდასხმულ მონებს, თავისუფალ სამშობლოს დარაჯნი, ჩვენი ჯარი და გვარდია დაუპირდაპიროს.

ის თავის ნაცადი გზით, სულის დამშვიდებით და სიმტკიცით უზრუნველ ყოფს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს გამარჯვებას.

ჯარი და გვარდია თავის მოვალეობას ჯეროვანად აასრულებენ. ჯერი ზურგში დარჩენილ მოქალაქეებზეა. ყველა თავის სადარაჯოზე უნდა იდგეს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერთსულოვანი ერი, რაგინდ პატარა იყოს ის, უძლეველია.

სრული წესიერება უნდა სუფევდეს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული და სადაც სწყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეთ მოვუწოდებთ მათ მიერ არა ერთხელ ნაცადი გაათკეცებული მუშაობისაკენ. არა ერთხელ იხსნა რესპუბლიკა განსაცდელისაგან მათმა თავგანწირულმა შრომამ და ერთგულობამ. ეხლაც, ამ ახალი საფრთხის ჟამს ამასვე მოელის მათგან დემოკრატიული სამშობლო.

ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეებისაკენ მიქცეულია დღეს მთელი ერის ყურადღება. ყველა აღსავსეა რწმენით, რომ მათ საკვებით შეგნებული აქვთ თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და ნაყოფიერი გაორკეცებული შრომით ხელს შეუწყობენ დემოკრატიის გამარჯვებას, როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტრებთან ბრძოლაში.

ბორჩალოს მაზრის იმ სოფლებმა რომელთაც ჩაიდინეს რესპუბლიკისა და დემოკრატიის წინაშე უდიდესი ღალატი, უნდა იცოდნენ, რომ შრომელი ხალხი არ დაინდობს ორგულთ და მოღალატეებს. მათ მოელის დამსახურებული სასჯელი კანონიერის გზით.

დანარჩენ სოფლებს ვაფრთხილებ არ აყვნენ მოღალატეთა ფეხის ხმას და უცხო სახელმწიფოს მოსყიდული აგენტების ანკესზე არ წამოეგონ. თბილისსა და მის მცხოვრებლებს მოუწოდეს სალ კლდესავით ზურგი გაუმაგრონ ხალხის დარაჯებს— ჯარსა და გვარდიას.

ყველა მოქალაქენი სრული შეგნებით უნდა ასრულებდენ მთავრობის და მის ხელისუფალთა ყველა ბრძანება განკარგულებას.

ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების, რესპუბლიკის რკინის გზების და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გენერალ გუბერნატორი, **ბ. ჩხიკვიშვილი.**

განხეთქილება სოც.-დემ. პარტიაში

«სსივის დეკლარაცია»

მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში მოექცა სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია..

სოციალ-დემოკრატიას ჩვენში წილად ხვდა უდიდესი გამარჯვება, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის: სოციალ დემოკრატია დაეპატრონა სახელმწიფო ძალა-უფლებას და ქვეყნის ბატონ-პატრონად გახდა.

1919 წლის 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრება, რომლის უმრავლესობა სოციალ დემოკრატიის კანდიდატთა სიიდან იქნა არჩეული.

ამის მიხედვით შესდგა წმინდა სოციალ დემოკრატიული მთავრობა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სოციალლისტურ მთავრობის ხელში ფრთებს გაშლიდა ხალხის სრული თვითმპყრობელობა და დემოკრატიულ წყობილების ნიადაგზე აღორძინდებოდა მუშაობა მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნის სოციალიზმისათვის.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა: თავის სახელმწიფოებრივ ბატონობის დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია ჰკარგავს სოციალისტურ სახეს; იგი უკვე ასცდა კლასობრივ ბრძოლის გზას. სახელმწიფო მმართველობამ შთანთქა პარტია; ის ცდილობს დაიმორჩილოს აგრეთვე მუშათა პროფესიონალური მოძრაობა, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს როგორც სოციალური საკითხის ცალკე გატეგორია და არა როგორც მმართველობის მიზნების იარაღი.

სოციალ-დემოკრატიული პროგრამა მინიმუმი მოითხოვს ხალხის თვითმპყრობელობას, რომლის ძალითაც მთელი უზენაესი სახელმწიფო უფლება ხელთ უბყრია ხალხს და მის მიერ არჩეულ ერთპალატიან საკანონმდებლო კრებას.

მართალია, ჩვენში კანონმდებელი დამფუძნებელი კრებაა. მაგრამ არ არის განხორციელებული მთავრობის პასუხის მგებლობა, და მრავალი კანონი, დამფუძნებელი კრების მიერ მღებული, აუსრულებელი რჩება. მთავრობა ნაკლებად უწევს ანგარიშს სახელმწიფო კონტროლს და ხალხის ქონება ხშირად იხარჯება უთავბოლოდ და უწესრიგოდ.

პროგრამა მოითხოვს აგრეთვე სიტყვის, კრების, ბინის, პიროვნების თავისუფლებას და ხელუხლებლობას; სინამდვილეში იშვიათად თუ სარგებლობს ვინმე ამ ხელუხლებლობით და თავისუფლებით.

ჩვენი ადგილობრივი თვითმართველობა უპატრონოდ არის მიტოვებული: ზოგნი ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენს, უკანტროლოდ მუშაობს, ზოგან კი ცენტრალურ მთავრობის თვითნებობას და ბიუროკრატიულ ძალდატანებას ითმენს.

მოუწესრიგებელია განაპირა კუთხეების ყოფა-ცხოვრება და მათი ურთიერთობა ცენტრალურ მმართველობასთან ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფება.

მუშათა კანონმდებლობა მივიწყებულია, არ არსებობს დაზღვევა და დაბრმავებულდასახიჩრებულ მუშებზე რავინ ზრუნავს.

მივიწყებულია აგრეთვე ომში დაჭრილ დაზარალებულთა ანგარიის საქმე.

სრულიად მოუწესრიგებელია დღევანდელი ცხოვრების უმწვავესი საკითხი—პირველ მოთხოვნილების საგანთა მიწოდება-განაწილების საქმე, რაც მძიმე და აუტანელ ტვირთად აწვება განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეებს და მოქალაქეთა ღარიბ ნაწილს.

აუტანელია ღარიბ გლეხ-კაცობის სოფლის მუშათა მდგომარეობა, და სოფლელი ამაოდ ელის აგრარულ რეფორმის დასრულებას.

შერყეულია ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ, რომელიც მოხდა წარსული წლის ზაფხულში, ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი წარმოების და კერძო ინიციატივის შეთანხმების საჭიროებას. ჩვენმა მთავრობამ კი წარმოების ვერც ერთ მხარეს გაუწია სათანადო პატრონობა: მოშლილია საზოგადოებრივი შეურნეობა, რომლისთვის მას უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება და იმავე დროს კერძო ინიციატივის ნაცვლად ბატონობს აღვირახსნილი სპეკულიაცია, არ არსებობს სახელმწიფოს კონტროლი სიზოგადოებრივი და კერძო წარმოებაზე.

სახელმწიფო მონოპოლიის საქმე სრულიად მოუწესრიგებელია; დაუზოგველად იფლანგება სახელმწიფოს სიმდიდრე და მშრომელი ხალხის დოვლათი.

ერთი სიტყვით წმინდა მუშური და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დასუსტება ანსრული დაშლა, გლეხ კაცობის ღვთის ანაბარად მიტოვება, ადმინისტრაციის თვითნებობა, როგორც ცენტრში, აგრეთვე პერიფერიებში, კულტურა განაფლების საქმის მოუწყობლობა, ანარქია, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა—აი, რა ახასიათებს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას.

რა არის ამის მიზეზი? სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი?

ჩვენ კარგად გვესმის მნიშვნელობა ობიეკტურ პირობებისა: ხანგრძლივი ომის გავლენამ ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური ვითარების დაქვეითებას, გარეშე საფრთხე ხელს გვიშლის დემოკრატიულ წყობილების განმტკიცების საქმეში.

მაგრამ ყველაფერს ობიექტიური პირობებით ვერ გავამართლებთ. და თუ ჩვენ მაინც შევძელით შეგვექმნა სახელმწიფო და თავი დავვიდეწია ბოლშევიკურ ანარქიისათვის, ეს აიხსნება უმთავრესად ქართველი ხალხის კულტურული განვითარებით და პოლიტიკური შეგნებით.

თითქმის ორი წელიწადია რაც დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციაში ვმუშაობთ, და ამ მუშაობამ ნათელ ჰყო ჩვენთვის ჯვარედინობა იმსისტემისა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენ პარტიულს და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას: ეს არის პარტიის და სახელმწიფოს ერთმანეთში არევა.

დღევანდელი საზოგადოება მოწინააღმდეგე კლასებად არის დაყოფილი. ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკაც ბოლოს და ბოლოს კერძო საკუთრების პრინციპზეა დამყარებუ-

ლი. ს.-დემოკრატია კი კერძო საკუთრების გაუქმების პერსპექტივაზე აშენებს თავის მოღვაწეობას; ხოლო ს.-დემოკრატიული მთავრობა იძულებულია კერძო საკუთრების ფარგლებში იმოქმედოს და არსებითად კლასთა მორიგების საქმეს ემსახუროს.

ამას ემატება მოვალეობათა შეთავსება, რომელიც კიდევ უფრო ართულებს ისედაც წინააღმდეგობით სავსე მდგომარეობას: ცენტრში მინისტრები იგივე პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრები არიან, ადგილობრივ კი ქალაქის თავები ბ ერობის თავმჯდომარეები, კომისრები და მილიციის უფროსები პარტიულ კოლექტივებს ხელმძღვანელობენ.

პარტია პოლიტიკურ კონტროლს უნდა უწევდეს მმართველობის ორგანოებს; ისინი კი უწევენ ასეთ კონტროლს თავის თავს, ე. ი. არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებიან.

ასეა საქმე თვით დამფუძნებელ კრებაშიაც, ვინაიდან დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ეკუთვნის, ამიტომ ფაქტიურად ეს ფრაქცია უნდა ყოფილიყო მდგომარეობის ბატონ პატრონი, მაგრამ ბატონობს არა ფრაქცია, არამედ მთავრობა ცენტრალურ კომიტეტით გამგრებული.

მთავრობა, რომელიც ფორმალურად დამფუძნებელ კრების აღმასრულებელი ორგანოა, ნაკლებად უწევს მას ანგარიშს.

ზოგჯერ კი თვითონ მთავრობაც, როგორც მთელი, დაჩრდილულია და დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს სწყვეტენ თავის ნებაზე ცენტრალურ კომიტეტის უფრო მოხერხებული წევრები. ეს არის მეორე, არალეგალური, მთავრობა. ის ყოვლის შემძლეა: ხშირად ის არ კმაყოფილდება პოლიტიკური საკითხებით და თავისი მოღვაწეობა სამოქალაქო ურთიერთობის სფეროშიაც გადააქვს, რითაც აუქმებს სასამართლოს პროგატივებს და მართლმსაჯულებას ფიქციად აქცევს.

ჩვენ ვსცადეთ ს. დ. ფრაქციის შიგნით შეგებრძოლებოდით ამ მოვლენას, მაგრამ ვერას გავხდით. ჩვენ შეძლება არ გვქონდა გარეგ გამოგვეტანა სიმართლე, დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან გვეთქვა ის რასაც ფრაქციაში ვამბობდით არცხალხის ფართე წრეებს და არც პარტიას ჩვენი ხმა არ სწვდებოდა, რადგან ფრაქციის სხდომებ ანგარიშები არსად იბეჭდებოდა.

ამ გარემოებამ იძულებული გვყო ჩვენ დაგვეარსებია საკუთარი სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ახალი სხივი“.

თავისუფალმა ს.-დ. ორგანომ დიდი სამსახური გაუწია, როგორც პარტიული ცხოვრების გამოცოცხლებას, ისე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს.

მაგრამ პარტიის მმართველმა წრეებმა ყოველი ღონე იხმარეს თავისუფალი აზრის ჩასაკლავად. მათ ამ მიზნისათვის გამოიყენეს მაღლიდან შერჩეულ დელეგატებისაგან შემდგარა პარტიული კონფერენცია. წინდაწინვე შემუშავებულ დადგენილებებით, რომელიც თავზე მოახვიეს კონფერენციას პარტიის გათიშვის მიზნით, მათ ჩვენ დაგვაყენეს განხეთქილების ფაქტის წინაშე— და იძულებული გავხდეს დაგვეარსებია დამფუძნებელ კრებაში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. მმართველ ფრაქციის ფარგლებში შეუძლებელი გახდა კრიტიკის და ნაყოფიერ მუშაობის წარმოება, და ჩვენ ვერ შევასრულებდით ჩვენს მოვალეობას მუშათა კლასის და მთელი ხალხის წინაშე, რომ მისთვის არ გვემცნო საქმის ნამდვილი ვითარება.

როგორია ჩვენი სამოქმედო პროგრამა?

ჩვენ ვდგევართ სოციალ-დემოკრატიულ პლათფორმაზე, მაგრამ ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია პროგრამის მხოლოდ ფორმალური და სიტყვიერი აღიარება, როგორც ამას სჩადის მმართველი ფრაქცია. ჩვენ გვინდა ცხოვრებაშიც რეალურად იქმნეს დაცული უფლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და მასთან ერთად პარტიასაც შერჩეს თავის სოციალისტური და კლასობრივი სახე.

ამას გარდა. დღეს ჩვენ მოვითხოვთ აგრარული რეფორმის საჩქაროდ დასრულებას: სოფლის მუშას უნდა მიეცეს მიწა და ამავე დროს არ უნდა იქნეს დავიწყებული საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესები.

მუშათა კანონმდებლობის საქმეში ჩვენ მოვითხოვთ საჩქაროთ გატარებულ იქმნას მუშათა დაზღვევის კანონები და მოეწყოს დაშავებულ დასახიჩრებულთა და შრომის უნარ დაკარგულთა უზრუნველყოფის საქმე.

ჩვენ მოვითხოვთ პასუხისმგებლობას და კონტროლს, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებას და ხალხის ქონების დაზოგვას.

ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ უნდა იქმნას თვითმართველობათა უფლებები.

განაპირა კუთხეების მცხოვრებთა — ბაჰმადიან ქართველების, აფხაზების და სხ. საარსებო მოთხოვნილებები უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული და საზოგადოთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები უზრუნველყოფილი, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ მთლიანობის განმტკიცება-გაძლიერებას და მის დემოკრატიის შეკავშირებას.

პოლიტიკურ აღმშენებლობაში ჩვენს მხარს დაუჭერთ ხალხის თვითმპყრობელობის დამკვიდრებას, და მთავრობა ისარგებლებს ჩვენის ნდობით არა განუკითხავათ და განუსჯელათ არამედ იმდენად, რამდენად ეს მისაღები იქნება დემოკრატიული და სოციალისტური თვალსაზრისით.

ჩვენ კარგად გვესმის სიდიადე იმ მომენტისა, რომელშიაც გამოსვლა გვიხდება. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ასეთი ჩვენი ნაბიჯი ზოგიერთ წრეებში გაუგებრობას დაბადებს: საქმეში ჩაუხედავი მეკობრები აქ დაინახავენ საფრთხეს ს. დ. მუშათა პარტიისათვის. პარტიის გულუბრყვილო მტრები კი სიხარულს მიეცემიან. საბედნიეროთ, უსაფუძვლოა, როგორც პირველთა შიში: ისე მეორეთა სიხარული: ჩვენი ნაბიჯი მიმართულია სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის აღორძინებისა და გაჯანსაღებისაკენ, მორჩილება და სერვილიზმი ვერასოდეს ვერ გახდება საზოგადოებრივ ცხოვრების ქვაკუთხედად. ასეთ როლს ვერც პარტია ითამაშებს.

წინააღმდეგ ყოველგვარი ოპორტუნიზმისა ჩვენი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული სიტყვა და საქმე ხელს შეუწყობს მუშათა პარტიის კლასობრივ პოზიციის გამაგრებას და დაუბრუნებს მას იმ ელემენტებს, რომელნიც მმართველობის ყოველსავე ნაკლს პარტიას აწერენ და მთავრობით უკმაყოფილონი სოციალ დემოკრატიაზე გულს იცრუებენ და ბოლშევიკურ ბანაკში ვარდებიან.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო იქმნა იურიდიულად ცნობილი ევროპის მიერ, ჩვენ მაინც კარგად გვაქვს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის რთული საგარეო მდგომარეობა და ძლიერი თავდაცვის ფრონტის აუცილებლობა.

მაგრამ, ვინაიდან უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას და ჩვენი გაჩუმება კი ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებრივ სხეულის დასუსტებას და სოციალისტური საქმის შეფერხებას, ჩვენ არ ვუშინდებით არავითარ გაუგებრობას, რადგან ნათლად ვხედავთ რომ ხალხის წინაშე ნამდვილი მდგომარეობის გამოაშკარავება გააჯანსაღებს და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, ამით იმავე დროს განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი მისწრაფებას, გააძლიერებს თავდაცვის საშუალებას და მოგვიპოებს მეტ ავტორიტეტს საერთაშორისო ურთიერთობაში.

აი, ამ მტკიცე რწმენით გამოვდივართ ჩვენ დამფუძნებელ კრებაში როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი.

3. საყვარელიძის განცხადება.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს.

უმორჩილესად გთხოვთ ყურადიღოთ ეს ჩემი პატარა განცხადება.

სხვანაირად მოახროვნეთა დევნა, კოიტიკის შეუწყნარებელი აკრძალვა, სახელმწიფოს და პარტიის ერთმანეთში აღრევა (ორიცესთვის დამღუპველი), პარტიული და სახელმწიფურ აღმასრულებელ ფუნქციათა შეჯავსების გაპრინციპება, მართველობაში უპასუხისმგებლობა, საზოგადოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკანური და უფლებრივი სახელმწიფო წესწყობილების განმტკიცების ინტერესები და სიყვარული მაიძულებს დამფუძნებელი კრების სოციალ დემოკრატიული ფრაქცია დავტოვო.

პავლე დავითის ძე საყვარელიძე.

გაერთიანება არასოციალისტურ პარტიათა დამფუძნებელ კრებაში.

დემოკრატიული ფრაქცია.

ეროვნულ დემოკრატიულმა და ეროვნულმა ფრაქციებმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შემდეგი განცხადებით მიმართეს:

,,ამით გაუწყებთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული ფრაქციები თანახმად საერთო კონფერენციის დადგენილებისა შეერთებული არიან ერთს ფრაქციაში სახელწოდებით ,,დემოკრატიული ფრაქცია''.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით **ს. კედია.**

ეროვნულ ფრაქციის სახელით **ბ. ვეშაპელი.**

პარტიებში.

გაერთიანდენ ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, გლეხთა რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი ,,საქართველოს დემოკრატიული პარტიის'' სახელწოდებით.

სატარიფო პალატის განმარტება.

23 იანვრის დადგენილების თანახმად ჯამაგირების მომატების შესახებ სატარიფო პალატა საყოველთაოდ განმარტავს შემდეგს:

1) ჯამაგირების მომატება ახალი ტარიფით ძალაში შედის ამა წლის 15 იანვრიდან ორმოცდა ათი პროცენტი. სწორი ტარიფი გამოქვეყნდება ახლო მომავალში.

2) ტარიფის ზევით ჯამაგირები მიეცემათ იმ პირთ, ვინც მუშათა მაგიდიდან ღებულობს სურსათ-სანოვაგეს. ჯამაგირების მომატება იქნება დროებით ვიდრე მუშათა მაგიდა გაადიდებდეს პურის რაციონს.

3) იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც მუშათა მაგიდიდან არ ეძლევათ სურსათ სანოვაგე, მიეცემათ ჯამაგირის ზევით კიდევ ორი პროცენტი მაგრამ არა უმეტეს ათი-ათასი მანეთისა თვეში. ეს ფორმა 25 იანვრის მთავრობის დადგენილებით თანახმად საეალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

4) მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც არ ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს, მაგრამ ამის სამაგიეროს თვით დამქირავებლიდან ღებულობენ, რომელიც მუშათა მაგიდის დახმარებას უდრის, კომპენსაცია აღარ ეძლევა და რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ სატარიფო პალატის საშუალებით, თუ ამის შესახებ რაიმე განცხადება შევა სატარიფო პალატაში.

5) კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ იმ პირთაც, ვინც მუშათა მაგიდაში არ არიან ჩაწერილები (მე-3 მუხ.) და იმ პირთაც ვინც მუშათა მაგიდაში ირიცხებიან, მაგრამ დროებით შეუწყვეტნიათ პურის მიცემა, მუშა და მოსამსახურენი ამ დღეების ფულს უსათუოდ ღებულობენ.

6) ყოველივე ანგარიში და მუშამოსამსახურეებთან გასწორება ხდება სატარიფო პალატის თანხმობით.

7) ანგარიშების მაგალითი:

მუშა, რომელიც 15 იანვრამდის ღებულობდა 6,000 მანეთს, 15 იანვრიდან ტარიფით მიიღებს 7,500 მან. თუ მუშათა მაგიდიდან სარგებლობდა, ის მიიღებს კიდევ დამატებითი 50 პროც., ესე ი. 2500 მანეთს, თუ არ სარგებლობს მუშა მაგიდიდან, მაშინ მუშა მიიღებს ტარიფზე ზევით 100 პროც., ესე იგი 7,500 მან.

რკ. გზის მიმოსვლის აღდგენა საქართველოსა და სპარსეთის შორის.

ტფილისში მყოფ სპარსეთის გენერალ საკონსულოს მიერ აღძრულია საკითხი საქართველოსა და სპარსეთს შორის რკინის გზით მიმოსვლის აღდგენისა და ამისათვის ჯულფაში და ტფილისში არსებულ თავრიზის რკინის გზის მოძრავ შემადგენლობის გაგზავნის შესახებ. ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა ერთნაირად დამოკიდებული იყო საბჭოთა და ოსმალეთის მართველობაზედ, ამიტომ სპარსეთის საკონსულომ მიმართა მათ სათანადო განცხადებით. ამ ჟამად საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ აცნობა სპარსეთის გენერალურ კონსულს, რომ მისი მხრით აღნიშნულ რკინის გზით მიმოსვლის აღდგენას არავითარი დაბრკოლება არ მოელის, თუ კი ამაზე დასთანხმდება საქართველოს მთავრობა და ოსმალეთის სარდლობაო.

სპარსეთის გენერალურ საკონსულოს განცხადებით, მას ასეთივე თანხმობა მიღებული აქვს ოსმალეთის სარდლობისაგანაც. საკონსულო ფიქრობს, რომ თავრიზის რკინის გზის მოძრავ შემადგენლობის ჯულფაში გადატანა დაუდებს საფუძველს საქართველოსა და სპარსეთის შორის წესიერ მიმოსვლის აღდგენას და შექმნის შესაძლებლობას საქართველოდან სპარსეთში ევროპის ბაზრების საქონლის გადატანისა [illegible] საქართველოში სპარსეთიდან მოტანისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის საექსკურსიო წრე.

12 თებერვალს გამართული უფასო საღამო.

მოსწავლე ახალგაზრდობის უმთავრესი იარაღი სწავლის შეძენა და გონების განვითარება არის. მაგრამ გონებით წარმოდგენა სამშობლოს ამა თუ იმ გეოგრაფიულ მხარეზედ არ კმარა, არამედ საჭიროა პრაკტიკულად ნახვა და დათვალიერება. ჩვენი პატარა საქართველო სავსეა ასეთი სანახაობით, რომლის ნახვასაც ვერ სძლებს საზოგადოების უმეტესი ნაწილი და განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალთაობა. საშვალო სასწავლებლის გათავების შემდეგ ზოგი უმაღლეს სასწავლებლებში მიდის, ათავებს მასაც და არ იცის თუ რა ქალაქებით და ოროგრაფიით არის შემკული მისი სამშობლო. ასეთი დაბრკოლება გადალახული რომ იქნეს, საჭიროება მოითხოვს მოწაფეების საექსკურსიოდ წაყვანას. ეს გარემოება ახლანდელ ზღაპრულ სიძვირის დროს ძლიერ ძნელია, მაგრამ თუ მონდომება ექნებათ როგორც მოწაფეებს ისე მათ წინამძღოლებს, არც ისე ძნელი დარჩება.

ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა სექტემბერშივე დაისახა მშობლიური მხარეების დათვალიერება. მიზანი საინტერესოა—შეიძლება კი ძნელი. საექსკურსიო წრემ განიზრახა საწევრო გადასახადი ფულებისაგან გაემართად საღამოები, ცოტა რამ მოეგოთ და ასე ემუშავნათ სწავლის წლის დამლევამდის, რომ შემდეგ მიზანს მიეხწიათ. პირველად გაუშვეს სიანსები „პობედაში (გამარჯვებაში)“, რამაც ცოტა მოგება მისცა ღარიბ ექსკურსანტებს.

12 თებერვალს ამავე წრემ გამართა გიმნაზიაში უფასო საღამო, ეს საღამო სამახსოვნო საღამოა გიმნაზიისათვის. საღამოს მრავალი საზოგადოება დაესწრო. პირველად მიმართა წრის თავმჯდომარემ დამწრე საზოგადოებას და გააცნო წრის მიზანი და მდგომარეობა. იყო მოწაფეებისაგან თქმული, ლექსები. ლექსები თანამედროვე მწერლების ხანის იყო, რომლებიც დღითი დღე მოელიან სამარეს და ყოველივე მომავლის იმედი დაკარგული აქვთ. საუცხოვო იყო სოლო და დუეტი შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო 1 მოქმედებიანი კომედია „მასესხეთ 25 მანეთი“ ქვაყუდელისა. მოქმედმა პირებმა თავიანთი როლები გვარიანად შეასრულენ. უკრავდა მუსიკა, იყო ცეკვა, ბუფეტი, ჩაი, ფოსტა და ამით დამთავრდა საღამო.

საერთოდ ეს საღამო მხიარულად ჩატარდა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. ქართველმა დემოკრატიამ კარგად იცოდა თუ რა საქველმოქმედო მიზნისთვის იმართებოდა ეს საღამო და არ დაერიდენ იმ ღამინდელ ცუდ ამინდს, დაესწრენ საღამოს და თანაგრძნობაც გაუწიეს. ვუსურვებთ ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის საექსკურსიო წრეს თავიანთ მიზნის მიხწევას და საზოგადოებას და მთავრობას მეტი თანაგრძნობის გამოჩენას.

სოლ. ყუბანეიშვილი.

მთავარი რედაქტორი **კ. კაპანელი.**
სარედაქციო კოლეგია